**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი**

**ეროვნული კომისიის**

**დადგენილება №77**
**2020 წლის 18 დეკემბერი**

**ქ. თბილისი**

# „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 168-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს:

**მუხლი 1**
„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008, №175, სარეგისტრაციო კოდი: 300.280.000.16.009.012.460) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:
„ბ) სს გეს „საქრუსენერგო“:

ბ.ა) 2021 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე – 0.314 თეთრი/კვტსთ;

ბ.ბ) 2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე – 0.298 თეთრი/კვტსთ;“.
**მუხლი 2**
დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

| | |
|---|---|
| **საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე** | **დავით ნარმანია** |
| **კომისიის წევრი** | **გიორგი ფრუიძე** |
| **კომისიის წევრი** | **გიორგი ფანგანი** |
| **კომისიის წევრი** | **გოჩა შონია** |